ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის 2017-2020 წლების ეროვნული სტრატეგიის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის განხორციელების

2019 წლის წლიური ანგარიში

2020 წელი

სარჩევი:

შესავალი.....2

მიზანი 1. ქურდული სამყაროს წინააღმდეგ ბრძოლა.....3

ამოცანა 1.1. საკანონმდებლო ბაზის დახვეწა 3

ამოცანა 1.2. ინსტრუმენტების დახვეწა და განვითარება.....6

ამოცანა 1.3. საზოგადოებასთან ურთიერთობის განვითარება 12

ამოცანა 1.4. საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება 18

მიზანი 2. ნარკოტრანზიტის და ნარკოვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლა.....19

ამოცანა 2.1. საკანონმდებლო ბაზის დახვეწა 19

ამოცანა 2.2. ინსტრუმენტების დახვეწა და განვითარება.....20

ამოცანა 2.3. საზოგადოებასთან ურთიერთობის განვითარება 22

ამოცანა 2.4. საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება 22

მიზანი 3. კიბერდანაშაულის და კიბერ მეთოდებით ჩადენილი დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა 23

ამოცანა 3.1. საკანონმდებლო ბაზის დახვეწა 23

ამოცანა 3.2. ინსტრუმენტების დახვეწა და განვითარება.....24

ამოცანა 3.3. საზოგადოებასთან ურთიერთობის განვითარება 27

ამოცანა 3.4. საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება 29

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის 2017-2020 წლების ეროვნული სტრატეგიის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის 2019 წლის შესრულების პროგრესის ანგარიშს, რომელიც შემუშავდა ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს სამდივნოს მიერ და განკუთვნილია სტრატეგიის განხორციელებაზე პასუხისმგებელი უწყებებისთვის და სხვა დაინტერესებული პირებისთვის.

2019 წლის 14 თებერვალს ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს სამდივნომ ორგანიზება გაუწია საკოორდინაციო საბჭოს სამუშაო ჯგუფის შეხვედრას, სადაც განხილულ იქნა ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის პირველადი პროექტი.

სამდივნო სისტემატურად უწევს მონიტორინგს სამოქმედო გეგმის მიმდინარეობის პროცესს და სტრატეგიით განსაზღვრულ მიზნებთან მის შესაბამისობას. აღნიშნული მონიტორინგის საფუძველზე სამდივნომ მოამზადა წლიური ანგარიში, რომელიც მოიცავს 2019 წლით გათვალისწინებული აქტივობების შესრულების პროცესსა და მიღწეულ შედეგებს. მასში მოცემულია სტრატეგიის საფუძველზე განსახორციელებელი აქტივობების სტატუსი და გათვალისწინებული შედეგები, მოცემულია სტრატეგიის განხორციელებაზე პასუხისმგებელი უფლებამოსილი უწყებების, ასევე, მის შესრულებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები.

აღნიშნული ანგარიში ასახავს იმ სისტემურ და თანმიმდევრულ პოლიტიკას, რომლის საბოლოო მიზანია „ქურდული სამყაროს“, ნარკოტრანზიტის, კიბერდანაშაულისა და კიბერ მეთოდებით ჩადენილი ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა და ამ მიმართულებით, როგორც ხარისხობრივი, ისე რაოდენობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესება. ამასთან, ანგარიშში წარმოდგენილია ინფორმაცია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის თანამედროვე საპოლიციო მეთოდების გამოყენებისა და საერთაშორისო ორმხრივი ან/და მრავალმხრივი ოპერატიული/არაოპერატიული თანამშრომლობის შესახებ. ანგარიშში წარმოდგენილი განხორციელებული რეფორმები, მათი ხელშესახები სამართლებრივი და ინსტიტუციური ცვლილებები მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ეროვნულ დონეზე არსებულ გამოწვევებსა და საჭიროებებს, რაც ამ მიმართულებით განგრძობადი განვითარებისთვის აუცილებელი წინაპირობაა.

ანგარიშის მიზანია გამოავლინოს ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში არსებული გამოწვევები და განახორციელოს მათი ანალიზი. ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის 2019 წლის წლიურ ანგარიშში შესრულების შეფასების ფარგლებში წარმოდგენილია პასუხისმგებელი უწყებების

მიერ ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის პრიორიტეტული მიმართულებების მიხედვით განხორციელებული აქტივობები და ღონისძიებები, სადაც დეტალურად არის მოცემული თითოეული პრიორიტეტის შესასრულებლად გაწერილი ამოცანა და აქტივობები.

მიზანი 1. ქურდული სამყაროს წინააღმდეგ ბრძოლა

ამოცანა 1.1. საკანონმდებლო ბაზის დახვეწა

აქტივობა 1.1.1. საერთაშორისო პრაქტიკის კვლევა ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის კრიმინალიზაციის კუთხით და საჭიროებისამებრ საკანონმდებლო ბაზის გადახედვა

შესრულების ინდიკატორი: კვლევა ჩატარებულია და შედეგი ცნობილია

შესრულების ვადა: 2019 წლის IV კვარტალი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის ორგანიზებით, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის: „ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა“ - ფარგლებში, საქართველოში ვიზიტით იმყოფებოდა ბრიტანელი ექსპერტი, ქეთრინ რობინსონი. ექსპერტის ვიზიტის მიზანი იყო ევროპული ქვეყნების საკანონმდებლო ბაზების შესწავლა და შედარება საქართველოს საკანონმდებლო ბაზასთან, ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის კუთხით.

სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად განხორციელდა

აქტივობა 1.1.2. საკანონმდებლო ბაზის გადახედვა ფარულ საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებით და საჭიროების შემთხვევაში საკანონმდებლო პაკეტის ინიცირება

პოლიტიკის შედეგი: ორგანიზებული დანაშაულთან ბრძოლის მეთოდების ეფექტურობის გაზრდა

შესრულების ინდიკატორი: საკანონმდებლო ბაზა გაანალიზებულია/საკანონმდებლო პაკეტი ინიცირებულია

შესრულების ვადა: 2020 წლის II კვარტალი

სტატუსი: არ დაწყებულა

აქტივობა 1.1.3. უკანონო აზარტულ თამაშებთან დაკავშირებით სსკ-ში შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება

პოლიტიკის შედეგი: უკანონო აზარტული თამაშობების ორგანიზატორების წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდების ეფექტურობის გაზრდა

შესრულების ინდიკატორი: საკანონმდებლო პაკეტი წარედგინა მთავრობას

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ აქტივობის შესრულების მიზნით ღონისძიების (საკანონმდებლო ინიციატივის) განხორციელების შემთხვევაში, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო გამოთქვამს მზადყოფნას კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობა მიიღოს დაგეგმილ ღონისძიებაში.

შესრულების ვადა: 2019 წლის IV კვარტალი

სტატუსი: **არ დაწყებულა**

აქტივობა 1.1.4. უკანონო საქმიანობით მიღებული შემოსავლის/ქონების კონფისკაციის პროცედურების საერთაშორისო პრაქტიკის და რეგულაციების შესწავლა

პოლიტიკის შედეგი: ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის ეფექტურობის გაზრდა

შესრულების ინდიკატორი: კვლევის ანგარიში შემუშავებულია შესაბამისი რეკომენდაციებით საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებით

შესრულების ვადა: 2019 წლის II კვარტალი

სტატუსი: **არ დაწყებულა**

აქტივობა 1.1.5. უკანონო საქმიანობით მიღებული შემოსავლის/ქონების კონფისკაციის პროცედურებთან დაკავშირებული კვლევის შედეგების გათვალისწინებით, შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება

პოლიტიკის შედეგი: ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის ეფექტურობის გაზრდა

შესრულების ინდიკატორი: საკანონმდებლო პაკეტი წარედგინა მთავრობას

შესრულების ვადა: 2020 წლის II კვარტალი

სტატუსი: არ დაწყებულა

აქტივობა 1.1.6. უკანონო საქმიანობით მიღებული შემოსავლის/ქონების კონფისკაციის პროცედურებთან დაკავშირებით ტრენინგების ჩატარება

პოლიტიკის შედეგი: ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის ეფექტურობის გაზრდა

შესრულების ინდიკატორი: ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა; დატრენინგებული თანამშრომლების რაოდენობა;

შესრულების ვადა: 2020 წლის IV კვარტალი

სტატუსი: არ დაწყებულა

აქტივობა 1.1.7. საკანონმდებლო ცვლილებების შემუშავება პენიტენციურ დაწესებულებებში ჩადენილ დანაშაულთან/ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მიზნით

პოლიტიკის შედეგი: ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის ეფექტურობის გაზრდა

შესრულების ინდიკატორი: შემუშავებული საკანონმდებლო ცვლილებების პროექტები წარდგენილია პარლამენტში

შესრულების ვადა: 2020 წლის IV კვარტალი

საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ 2019 წლის ზაფხულში მოამზადა პენიტენციურ დაწესებულებაში ჩადენილი დანაშაულის/ორგანიზებული დანაშაულის ზეგავლენის შემცირების კონცეფცია. აღნიშნული კონცეფცია ემყარება განსაკუთრებით მაღალი რისკის შემცველ მსჯავრდებულებთან გამკლავების საუკეთესო პრაქტიკასა და საერთაშორისო რეკომენდაციებს.[1]

აღნიშნულ კონცეფციაზე დაყრდნობით მომზადდა ანალიტიკური ცხრილი, რომელშიც გაიწერა კონცეფციის განხორციელების მიზნით შესასრულებელი ქმედებები და მოსალოდნელი შედეგები. მოცემულ ეტაპზე კონცეფციასა და ანალიტიკურ ცხრილზე

[1] კონცეფცია ეყრდნობა შემდეგ დოკუმენტებს: UNODC Handbook on Dynamic Security and Prison Intelligence; UNODC Handbook on Anti-corruption Measures in Prison; UNODC Handbook on Management of High Risk Prisoners.

დაყრდნობით, მომზადებულია საკანონმდებლო პროექტების პირველადი ვერსიები და მიმდინარეობს შემდგომი ეტაპების დაგეგმვა.

სტატუსი: მიმდინარე - ნაწილობრივ განხორციელდა

ამოცანა 1.2. ინსტრუმენტების დახვეწა და განვითარება

აქტივობა 1.2.1. საექსპერტო მიმართულებით განვითარება ISO სტანდარტების შესაბამისად

პოლიტიკის შედეგი: ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის წინააღმდეგ მტკიცებულებების ხარისხის გაუმჯობესება

შესრულების ინდიკატორი: მიღებულია შესაბამისი ISO სერტიფიკატი

შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის განყოფილებამ 2019 წლის 16 აპრილს მიიღო „დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის განყოფილების საგამოცდო ლაბორატორიის შეფასება ISO/IEC 17025 სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობაზე".

შესრულების ვადა: 2020 წლის I კვარტალი

სტატუსი: განხორციელდა

აქტივობა 1.2.2. საექსპერტო-კრიმინალისტიკური მიმართულების ადამიანური რესურსის გადამზადება

პოლიტიკის შედეგი: ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის წინააღმდეგ მტკიცებულებების ხარისხის გაუმჯობესება

შესრულების ინდიკატორი: კომპიუტერული ექსპერტიზის მიმართულებით ჩატარებული გადამზადება (გადამზადებულია 2 თანამშრომელი);

ქიმიური ექსპერტიზის მიმართულებით ჩატარებული გადამზადება (გადამზადებულია 30 თანამშრომელი);

დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის მიმართულებით ჩატარებული გადამზადება (გადამზადებულია 23 თანამშრომელი).

შესრულების ვადა: 2019 წლის IV კვარტალი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის მიერ ჩატარდა 7 ტრენინგი და გადამზადდა 55 თანამშრომელი.

სტატუსი: განხორციელდა

აქტივობა 1.2.3. საექსპერტო-კრიმინალისტიკური მიმართულების ტექნიკური საშუალებების განვითარება

პოლიტიკის შედეგი: ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის წინააღმდეგ მტკიცებულებების ხარისხის გაუმჯობესება

შესრულების ინდიკატორი: კომპიუტერული და ციფრული ექსპერტიზის მიმართულებით თანამშრომელთა მიერ გავლილი სპეციალური სწავლების კურსები;

კომპიუტერულ ექსპერტიზის მიმართულებით გაზრდილი შესაძლებლობები;

ახალი პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებით ხდება მობილური ტელეფონებიდან და სხვა ციფრული მოწყობილობებიდან არსებული და წაშლილი ინფორმაციის აღდგენა-ამოღება;

ქიმიური ექსპერტიზის მიმართულებით გაზრდილი შესაძლებლობები.

შესრულების ვადა: 2020 წლის IV კვარტალი

სტატუსი: არ დაწყებულა

აქტივობა 1.2.4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების პედაგოგების და მანდატურების გადამზადება

პოლიტიკის შედეგი: კრიმინალური იდეოლოგიის გავლენის შემცირება

შესრულების ინდიკატორი: გადამზადებული პედაგოგების რაოდენობა; არანაკლებ 600 მოქმედი მანდატურების გადამზადება

შესრულების ვადა: 2020 წლის IV კვარტალი

აქტივობის შესრულების მიზნით სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის თანამშრომლები გადამზადდნენ სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში, რომელიც ამზადებს ტრენინგ მოდულს კრიმინალური იდეოლოგიის გავლენის შემცირების კომპონენტში. 2020 წლის ბოლოსთვის (IV კვარტალი) დაგეგმილია არანაკლებ 600 მანდატურის გადამზადება.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ - აკადემიაში 2019 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით მომზადდა - 420 მანდატური.

ასევე, უსაფრთხო სკოლის კონცეფციის ფარგლებში, სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურისა და აკადემიის მჭიდრო თანამშრომლობის საფუძველზე, მოქმედი მანდატურებისთვის გადამზადების სპეციალური დისტანციური კურსი შეიქმნა, რომლის ფარგლებში გადამზადდა – 350 მოქმედი მანდატური.

სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად განხორციელდა

აქტივობა 1.2.5 პენიტენციური დაწესებულებების მართვის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით ახალი, მცირე ზომის პენიტენციური დაწესებულებების მშენებლობა

პოლიტიკის შედეგი: კრიმინალური იდეოლოგიის გავლენის შემცირება

შესრულების ინდიკატორი: ახალი პენიტენციური დაწესებულებების მშენებლობა დაწყებულია

შესრულების ვადა: 2020 წლის IV კვარტალი

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ 2019 წელს დასრულდა ქ. რუსთავში ერთი პენიტენციური დაწესებულების ტერიტორიის მოსწორების და შემოღობვის სამუშაოები და დაწესებულების შენობების ასაგებად საჭირო საპროექტო სამუშაოები დაწყებულია.

დაბა ლაითურში, ახალი დაწესებულების სამშენებლო სამუშაოებისთვის საჭირო პროექტი საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან პენიტენციურ სისტემას გადმოეცა 2019 წელს; თუმცა, დაუსრულებელ მდგომარეობაში. შესაბამისად, ჩატარდა ინტენსიური სამუშაოები, პროექტი (რომელიც საჭიროებდა ცვლილებებს და დამუშავებას) ამჟამად დასრულებულია და დადებითი ექსპერტიზის დასკვნა გაიცა 2020 წლის თებერვალში.

სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის ტენდერი გამოცხადდა სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიერ 2020 წლის 2 მარტს.

ამჟამად, ასევე მიმდინარეობს ქსნის ტერიტორიაზე დაგეგმილი ახალი დაწესებულებების სამშენებლო/სარეკონსტრუქციო სამუშაოებისთვის აუცილებელი პროექტირება, რომელიც შედგება 3 ნაწილისაგან. საპროექტო კომპანიის მხრიდან დასრულებულია I ნაწილი და გადაგზავნილია ექსპერტიზაზე. ექსპერტიზის დასკვნა ჯერჯერობით არაა მიღებული.

სისტემა გეგმავს 5 ახალი დაწესებულების აშენებას.

2019 წელს აქტივობა 1.2.5-ის ფარგლებში ხარჯმა შეადგინა 2 085 598 ლარი. წინასწარი მონაცემებით სრულად ახალი დაწესებულებების მშენებლობებისათვის საჭიროა 110 000 000 ლარი (დაფინანსება - სახელმწიფო ბიუჯეტი).

სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად განხორციელდა

აქტივობა 1.2.6 პენიტენციურ დაწესებულებებში შემთხვევის მართვის სისტემის, მნიშვნელოვანი ზიანის რისკისა და რეციდივის ალბათობის შეფასების დანერგვა.

პოლიტიკის შედეგი: კრიმინალური იდეოლოგიის გავლენის შემცირება

შესრულების ინდიკატორი: პენიტენციური დაწესებულებების რაოდენობა, სადაც დანერგილია შემთხვევის მართვა; მსჯავრდებულთა რაოდენობა, რომლებიც ჩართულნი არიან შემთხვევის მართვაში

შესრულების ვადა: 2020 წლის IV კვარტალი

პენიტენციურ და პრობაციის სისტემაში განახლდა ზრდასრულთა რისკისა და საჭიროებების შეფასების ინსტრუმენტი. კერძოდ, რისკის გამოთვლა ხდება ქულების საშუალებით. ამ მხრივ, დასრულდა მუშაობა ზრდასრულ მსჯავრდებულთა რისკისა და საჭიროებების შეფასების ფორმაზე და შემთხვევის მართვის ინსტრუქციაზე.

2019 წლის სექტემბერში N5 და N16 პენიტენციურ დაწესებულებებში დაიწყო შემთხვევის მართვის და განახლებული შეფასების ინსტრუმენტების დანერგვა (პილოტირების შემდგომი ეტაპი).

N17 პენიტენციურ დაწესებულებაში ნოემბრის თვეში დაიწყო განახლებული რისკისა და საჭიროებების ინსტრუმენტის პოლოტირება მსჯავრდებულებთან, რომელთაც კალენდარულ

გათავისუფლებამდე დარჩენილი აქვთ არაუმეტეს 2 წელი და არანაკლებ 6 თვე. პილოტირების პროცესი ითვალისწინებს პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლების საბჭოსთვის წარსადგენი მსჯავრდებულის დახასიათების განახლებული ფორმის ეფექტიანობის დადგენას.

სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად განხორციელდა

აქტივობა 1.2.7 პენიტენციურ დაწესებულებებში სარეაბილიტაციო პროგრამების განახლება-დანერგვა.

პოლიტიკის შედეგი: კრიმინალური იდეოლოგიის გავლენის შემცირება

შესრულების ინდიკატორი: განახლებული/ახლად დანერგილი სარეაბილიტაციო პროგრამების რაოდენობა; სარეაბილიტაციო პროგრამებში ჩართულ პირთა რაოდენობა

შესრულების ვადა: 2020 წლის IV კვარტალი

პენიტენციურ და პრობაციის სისტემაში არსებული შეფასების ინსტრუმენტებზე დაყრდნობით გამოკვეთილი საჭიროებების საფუძველზე, ორივე უწყებისთვის შემუშავებულია ერთობლივი სარეაბილიტაციო პროგრამები:

„ჯგუფური სამოტივაციო პროგრამა ქალებისათვის - ქალგა“;

„პოზიტიური აზროვნების უნარ-ჩვევების ინტერვენციის პროგრამა (TSP)“.

ორივე პროგრამის პილოტი ჩატარებულია პენიტენციურ და პრობაციის სისტემებში. დასრულდა ზემოაღნიშნულ პროგრამებში პენიტენციური და პრობაციის სისტემების თანამშრომლების ფასილიტატორებად გადამზადება.

ჯამში, 2019 წელს ფსიქო-სოციალურ ტრენინგებსა და თერაპიებში ჩართული იყო 1238 ბენეფიციარი.

სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად განხორციელდა

აქტივობა 1.2.8 პენიტენციურ დაწესებულებებში მოკლევადიანი პროფესიული პროგრამების (ტრენინგ-კურსები, მოდულები) განხორციელება.

პოლიტიკის შედეგი: კრიმინალური იდეოლოგიის გავლენის შემცირება

შესრულების ინდიკატორი: ჩატარებული კურსების რაოდენობა; გადამზადებულ პირთა რაოდენობა

შესრულების ვადა: 2020 წლის IV კვარტალი

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს შორის დადებული მემორანდუმის საფუძველზე, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ მომზადდა ,,მსჯავრდებული პირებისთვის და ყოფილი პატიმრებისთვის პროფესიული განათლების მიღების ხელმისაწვდომობის პროგრამა“. პროგრამა ითვალისწინებს მსჯავრდებულებისთვის (პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში განთავსებული მსჯავრდებული, პირობით ვადამდე გათავისუფლებული და პირობითი მსჯავრდებული) პროფესიული მომზადების პროგრამების (ტრენინგ-კურსი, მოდული) ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას მათი რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის მიზნით.

2019 წელს აღნიშნული პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 10 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომლებმაც განახორციელეს სხვადასხვა მიმართულების (ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიები, მომსახურებები, სოფლის მეურნეობა, ბიზნესი, ადმინისტრირება და სამართალი, მიმართულებათა შორისი დარგები და მეცნიერებები) 31 მოკლევადიანი პროფესიული პროგრამები (ტრენინგ-კურსი, მოდული), მათ შორის უცხო ენების შემსწავლელ კურსები (ინგლისური, ქართული (არაქართულ ენოვანი ბენეფიციარებისთვის), გერმანული). პროფესიული პროგრამების განსახორციელებლად 2019 წელს, პროგრამის ფარგლებში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილ იქნა 268,412.00 ლარი.

პირობით მსჯავრდებულების, პირობით ვადამდე გათავისუფლებული მსჯავრდებულებისთვის 11 მოკლევადიანი (სამთვიანი) პროფესიული (ტრენინგ-კურსი, მოდული) პროგრამები განხორციელდა, სსიპ კოლეჯის „იბერია“ და სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მიერ. პროგრამებზე სწავლება მიმდინარეობდა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ დაფუძნებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ საგანმანათლებლო დაწესებულებაში, და უზრუნველყოფილ იქნა საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, ინვენტარით და სასწავლო მასალებით.

დაწესებულების მიერ ანაზღაურებულ იქნა, როგორც პროფესიული მასწავლებლისა და ადმინისტრაციული ხარჯი, ასევე, პროფესიული მომზადების დამადასტურებელი სერტიფიკატის და სხვა ხარჯები. ზემოაღნიშნული პროგრამის განხორციელებაში ჩართულია არასამთავრობო ორგანიზაცია, იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია „თანხმობა“,

პირობით მსჯავრდებულებს აწვდის დამატებით სერვისებს რესოციალიზაცია-რეინტეგრაციის მიზნით (ბენეფიციართა ინფორმირება, ტრანსპორტირება, კვება და ა.შ.).

პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში განთავსებული მსჯავრდებულებისთვის მოკლევადიან პროფესიულ პროგრამებზე სწავლება მიმდინარეობდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს №2, №3, №5, №6, №7, №8, №9, №11, №12, №14, №15, №16, №17 პენიტენციური დაწესებულებების სათანადოდ აღჭურვილ კლასებში. პროგრამები განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, ხელსაწყო-იარაღებით, ინვენტარითა და მასალებით უზრუნველყო საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ, ხოლო პედაგოგების შრომის ანაზღაურება, ადმინისტრაციული ხარჯის ანაზღაურება, პროფესიული მომზადების დამადასტურებელი სერტიფიკატისა და სხვა ხარჯების ანაზღაურება უზრუნველყო საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ/მონაწილეობით და საქართველოს მთავრობის მიერ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარდგინებით დაფუძნებულმა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა.

ამრიგად, 2019 წელს, პროფესიულ მოკლევადიან პროგრამებზე სულ მომზადება გაიარა 500-მდე მსჯავრდებულმა (მათ შორის 48 პირობითმა მსჯავრდებულმა).

განათლების სამინისტროსთან დადებული მემორანდუმის ფარგლებში, პენიტენციურ დაწესებულებებში 8 კოლეჯის მიერ განხორციელდა 20 პროფესიული პროგრამა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 868 ბენეფიციარმა. ამას გარდა 224 მსჯავრდებული ჩართული იყო სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციებისა და პედაგოგების მიერ მოწოდებულ სახელობო პროგრამებში.

იუსტიციის სამინისტროს სისტემაში 2019 წელს მომზადდა შესაბამისი საკანონმდებლო აქტები, მათ შორის, საქართველოს მთავრობის დადგენილება სსიპ-ის დაფუძნების შესახებ. ამასთან, დამტკიცდა სსიპ-ის დებულება და მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების წესი.

სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად განხორციელდა

ამოცანა 1.3. საზოგადოებასთან ურთიერთობის განვითარება

აქტივობა 1.3.1. სამართალდამცავი სტრუქტურების მჭიდრო თანამშრომლობა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან

პოლიტიკის შედეგი: კრიმინალური იდეოლოგიის გავლენის შემცირება

შესრულების ინდიკატორი: სკოლებში სამართალდამცველების მიერ გამართული შეხვედრების რაოდენობა

შესრულების ვადა: 2019 - 2020 წლის II, IV კვარტალი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ სკოლებში შემდეგი შეხვედრები გამართა:

- 2019 წლის II კვარტალში თბილისის პოლიციის დეპარტამენტის წარმომადგენლებმა - მართლწესრიგის ოფიცრებმა საინფორმაციო შეხვედრები გამართეს თბილისის 11 საჯარო სკოლასა და 7 უნივერსიტეტში. შეხვედრები მიზნად ისახავდა ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლებას მართლწესრიგისა და დანაშაულის პრევენციის კუთხით და ასევე, მართლწესრიგის ოფიცრების ფუნქცია მოვალეობების გაცნობასა;
- 2019 წლის III-IV კვარტალში მართლწესრიგის ოფიცრებმა საინფორმაციო შეხვედრები გამართეს თბილისის 35 საჯარო სკოლაში. შეხვედრები მიზნად ისახავდა მართლწესრიგის ოფიცრების ფუნქცია-მოვალეობების გაცნობასა და ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლებას მართლწესრიგისა და დანაშაულის პრევენციის კუთხით.
- „მართლწესრიგის ოფიცრის თასი“ - შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის წარმომადგენლებმა, მონაწილეობა მიიღეს ფრენბურთის ტურნირში, რომელიც „საქართველოს სტრატეგიისა და განვითარების ცენტრის“ ორგანიზებით ჩატარდა. ტურნირის მიზანი იყო, მართლწესრიგის ოფიცრებსა და მოზარდებს შორის პოზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიბება და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო მართლწესრიგის 24-მა ოფიცერმა და თბილისის სკოლების 84-მა მოსწავლემ;
- შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის წარმომადგენლებმა - მართლწესრიგის ოფიცრებმა კიბერდანაშაულის საკითხებზე საინფორმაციო შეხვედრები გამართეს თბილისის 3 სკოლის 100-მდე მოსწავლესთან. საინფორმაციო შეხვედრებზე მართლწესრიგის ოფიცრები დამსწრე აუდიტორიას ესაუბრებოდნენ სხვადასხვა გამოწვევებზე, მათ შორის, კიბერბულინგისა და კიბერდანაშაულის საკითხებზე;
- გარდა ამისა, ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის წარმომადგენლებმა და მართლწესრიგის ოფიცრებმა, შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში კიბერბულინგისა და კიბერდანაშაულის საკითხებზე საინფორმაციო შეხვედრა გამართეს კანტის აკადემიის 170-მდე სტუდენტთან. შეხვედრაზე განიხილეს ისეთი აქტუალური საკითხები, როგორიცაა კიბერსივრცეში არსებული საფრთხეები., კიბერდანაშაულის ფორმები, სოციალური ქსელებისა და პლასტიკური ბარათების უსაფრთხოება და ა.შ.;

- შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტისა და საქართველოს სტრატეგიისა და განვითარების ცენტრის (GDSD) ერთობლივი პროექტის ფარგლებში, სსიპ შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში გაიმართა თბილისის 162-ე სკოლის 50-მდე მოსწავლისა და მართლწესრიგის ოფიცრის ერთობლივი შეხვედრა ჰარვარდის პოლიციის უფროსთან საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და დანაშაულის პრევენციის მიმართულებით ახალგაზრდების ცნობიერების ასამაღლებლად. ღონისძიების ფარგლებში სპორტული აქტივობები გაიმართა მართლწესრიგის ოფიცრებსა და სკოლის მოსწავლეებს შორის;
- შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტის კოორდინაციითა და საერთაშორისო ორგანიზაცია PH-International-ის ორგანიზებით, „სკოლის, საზოგადოებისა და პოლიციის თანამშრომლობის პროგრამის“ ფარგლებში განხორციელდა შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა სტრუქტურულ დანაყოფში 33 მოსწავლის ვიზიტი, საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან. აღნიშნული ვიზიტი მიზნად ისახავდა პროგრამის მონაწილე ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლებას შინაგან საქმეთა სამინისტროს დეპარტამენტების საქმიანობის, სამინისტროში მიმდინარე რეფორმებისა და არასრულწლოვანთა უფლებების დაცვის კუთხით (18-19 ივნისი);
- შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებების დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის წარმომადგენლებმა საინფორმაციო შეხვედრები გამართეს თბილისის საჯარო სკოლების მოსწავლეებთან და გააცნეს დეპარტამენტის ფუნქციები, საქმიანობის ძირითადი მიმართულებები, ასევე, ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის მსხვერპლთა დაცვის სახელმწიფო სერვისების დანიშნულება და ფუნქციები, ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ კანონმდებლობა და არსებული ინსტრუმენტები;
- შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები გაეცნენ საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებისა და იარაღის გამოყენების წესებს, კრიმინალისტიკურ ლაბორატორია, ასევე, საგამოძიებო და სამართალდამცველთა საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს;
- შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში თბილისის 175-ე და 22-ე სკოლის მოსწავლეები გაეცნენ ინფორმაციას სასწავლო პროცესისა და პროგრამების, ასევე, სამართალდამცველების ზოგადი საქმიანობისა და საგამოძიებო პროცესების თაობაზე;
- 2019 წლის 21 ივნისს შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრატეგიული მილსადენების დაცვის დეპარტამენტის წარმომადგენლებმა სამცხე-ჯავახეთის რეგიონულ ბაზაზე 19 მოსწავლეს დეპარტამენტის დანიშნულება და მისი მუშაობის სპეციფიკა გააცნეს. ღონისძიების მიზანი იყო მოსწავლეების ცნობიერების ამაღლება და მათი ინფორმირება დანაშაულის პრევენციის, მართლწესრიგის და უსაფრთხოების შესახებ; ხოლო 2019 წლის ნოემბერში სტრატეგიული მილსადენების დაცვის დეპარტამენტის ქვემო ქართლის რეგიონული სამმართველოს ბაზაზე გაიმართა საინფორმაციო

შეხვედრა რუსთავის სკოლის მოსწავლეებთან. სტუმრებმა ბაზის ინფრასტრუქტურა და აღჭურვილობა დაათვალიერეს. ასევე, გაეცნენ სტრატეგიული მილსადენების დეპარტამენტის მუშაობის სპეციფიკას;

- შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის ორგანიზებით ჩატარდა:

  – საინფორმაციო შეხვედრა სამტრედიის საჯარო სკოლის მოსწავლეებთან სანაპირო დაცვის ბაზაზე;
  – საინფორმაციო შეხვედრები სტუდენტებთან სანაპირო დაცვის ბაზაზე;
  – საინფორმაციო შეხვედრა კადეტთა სამხედრო ლიცეუმის მოსწავლეებთან სანაპირო დაცვის ბაზაზე;
  – საინფორმაციო შეხვედრები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტში აშშ-ს სანაპირო დაცვის პროგრამასთან დაკავშირებით;
  – საინფორმაციო შეხვედრა ბარისახოს სამმართველოში ადგილობრივი სკოლისა და პანსიონის მოსწავლეებთან.

შსს სსიპ – საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის მიერ ჩატარდა შემდეგი შეხვედრები:

  – სკოლის მოსწავლეები სტუმრად „112“-ში - „მოზარდებში გადაუდებელი დახმარების ნომრის ცნობადობის გაზრდის“ პროექტის ფარგლებში 2019 წლის ბოლო სამი თვის განმავლობაში „112“-ს საჯარო და კერძო სკოლების 400-მდე მოსწავლე ეწვია;
  – სტუდენტები სტუმრად „112“-ში - „112“-ის თბილისის ცენტრს ახალგაზრდული ფორუმის “Youth Speak Forum 19”-ის ფარგლებში სტუდენტები ესტუმრნენ.
  – ასევე, განხორციელდა დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემიისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის რაინლანდ-პფალცის მიწის პოლიციის აკადემიის სტუდენტების ვიზიტი;
  – ღია კარის დღე სტუდენტებისთვის - გადაუდებელი დახმარების ნომრის ცნობადობის ამაღლების მიზნით. 112-ის წარმომადგენლებმა ახალგაზრდებს საქართველოში მოქმედი გადაუდებელი დახმარების ნომრის შესახებ დეტალური ინფორმაცია მიაწოდეს. წითელი ჯვრის საზოგადოების წარმომადგენლებმა კი სტუდენტებს პირველი გადაუდებელი დახმარების შესახებ საბაზისო კურსი ჩაუტარეს;
  – 2019 წლის მეორე ნახევარში, „112“-მა, პროექტის - „მოზარდებში გადაუდებელი დახმარების ნომრის ცნობადობის გაზრდის“ ფარგლებში, საჯარო და კერძო სკოლების 500-მდე მოსწავლეს უმასპინძლა. შეხვედრებზე „112“-ის წარმომადგენლები სკოლის მოსწავლეებს პრეზენტაციის სახით ყველა საჭირო

ინფორმაციას აწვდიან ნომრის სწორად გამოყენების შესახებ. კერძოდ, თუ რას ნიშნავს გადაუდებელი შემთხვევა, რა ნომერზე უნდა დარეკონ ასეთი შემთხვევების დროს და როგორ უნდა ითანამშრომლონ ოპერატორთან. მოზარდები ასევე ეცნობიან ყველაზე მნიშვნელოვან ინფორმაციას, თუ რას ნიშნავს არამიზნობრივი ზარი და ცრუ გამოძახება და რა სანქციებია გათვალისწინებული მათი განხორციელების დროს.

- 2019 წლის III და IV კვარტალში არასრულწლოვანთა ცნობიერების ამაღლების მიზნით, საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის სხვადასხვა დანაყოფსა და ახალ ადმინისტრაციულ შენობაში გაიმართა გაცნობითი ხასიათის შეხვედრები, რომელშიც მონაწილეობა მიიღო სკოლის 65 მოსწავლემ და 154 სტუდენტმა.

სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად განხორციელდა

აქტივობა 1.3.2. საზოგადოებრივი განხილვის გამართვის სტიმულირება

პოლიტიკის შედეგი: კრიმინალური იდეოლოგიის გავლენის შემცირება

შესრულების ინდიკატორი: სატელევიზიო თოქ-შოუების და გადაცემების რაოდენობა; სოციალურ ქსელებში კამპანიაში ჩართული რეგისტრირებული მომხმარებლების რაოდენობა; მედია მონიტორინგის ანალიზი შედეგის გაზომვის მიზნით

შესრულების ვადა: 2020 წლის IV კვარტალი

სტატუსი: არ დაწყებულა

აქტივობა 1.3.3. სოციალურ მედიაში კრიმინალურ მენტალიტეტთან ბრძოლის კამპანია

პოლიტიკის შედეგი: კრიმინალური იდეოლოგიის გავლენის შემცირება

შესრულების ინდიკატორი: კამპანიაში ჩართული სოციალურ ქსელში რეგისტრირებული აუდიტორია - არანაკლებ ნახევარი მილიონი მომხმარებელი.

შესრულების ვადა: 2020 წლის IV კვარტალი

სტატუსი: **არ დაწყებულა**

აქტივობა 1.3.4. ბიზნეს წრეებისთვის საინფორმაციო კამპანია და შეხვედრები

პოლიტიკის შედეგი: კრიმინალური იდეოლოგიის გავლენის შემცირება

შესრულების ინდიკატორი: წელიწადში არანაკლებ 2 შეხვედრა/ინტერაქცია

შესრულების ვადა: 2020 წლის IV კვარტალი

სტატუსი: **არ დაწყებულა**

აქტივობა 1.3.5. არასრულწლოვანებში ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციის კამპანია

პოლიტიკის შედეგი:

შესრულების ინდიკატორი: მონაწილეთა რაოდენობა

შესრულების ვადა: 2020 წლის IV კვარტალი

სტატუსი: **არ დაწყებულა**

აქტივობა 1.3.6. მედია მხარდაჭერის მოპოვება ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მიმართულებით

პოლიტიკის შედეგი: კრიმინალური იდეოლოგიის გავლენის შემცირება

შესრულების ინდიკატორი: გასვლითი სამუშაო შეხვედრები მედიასთან, რედაქტორებთან, აზრის ლიდერებთან

შესრულების ვადა: 2020 წლის IV კვარტალი

2019 წელს საქართველოს პროკურატურამ ევროკავშირთან თანამშრომლობით, საერთაშორისო ექსპერტი ხელმძღვანელობით, ჩაატარა ტრენინგი მედიასთან და საზოგადოებასთან ეფექტიანი ურთიერთობის საკითხებზე (მათ შორის, ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის

მიმართულებით). სასწავლო აქტივობებში მონაწილეობას იღებდნენ სპიკერი პროკურორები, რომლებიც აქტიურად არიან ჩართული მედიასთან კომუნიკაციის პროცესში. ტრენინგის ფარგლებში განხილულ იქნა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა: მედიასთან ურთიერთობის მიზნები და ამოცანები, სტრატეგიული ხედვა, კომუნიკაციის მნიშვნელობა, ტელე და რადიო ინტერვიუსთან დაკავშირებული საკითხები და სხვა. კურსი დატვირთული იყო პრაქტიკული სავარჯიშოებით, რაც ტრენინგის მონაწილეებს პრაქტიკული უნარ-ჩვევების გაუმჯობესებაში დაეხმარა. სწავლებაში მონაწილეობა 8 პროკურორმა მიიღო.

ამასთან, დამატებით ჩატარდა 2 ტრენინგი თემებზე: კომუნიკაცია კრიზისულ სიტუაციაში და სტრატეგიული კომუნიკაციის გეგმა და პოლიტიკა. ტრენინგები მიზნად ისახავდა კრიზისულ სიტუაციებში კომუნიკაციის პროცესის გაუმჯობესებასა და სტრატეგიული კომუნიკაციის გეგმის შემუშავებისთვის მნიშვნელოვანი საკითხების გაცნობას. სწავლებაში ჩართული იყვნენ საქართველოს პროკურატურის მაღალი და საშუალო რგოლის მენეჯერები და საზოგადოებასთან და მასმედიასთან ურთიერთობის დეპარტამენტის თანამშრომლები. სულ გადამზადება გაიარა 18-მა პირმა. ტრენინგის ფარგლებში განიხილებოდა სტრატეგიული კომუნიკაცია და მისი დაგეგმვის სირთულეები, კომუნიკაციის გზები და საშუალებები, როგორ აისახება ორგანიზაციის ღირებულებები შეტყობინებებში, კრიზისული სიტუაციის მახასიათებლები და ეტაპები და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები. ტრენინგს მოწვეული საერთაშორისო ექსპერტები უძღვებოდნენ.

სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად განხორციელდა

ამოცანა 1.4. საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება

აქტივობა 1.4.1. საერთაშორისო ერთობლივი საგამოძიებო ჯგუფების შემქნა

პოლიტიკის შედეგი: საქართველოს ფარგლებს გარეთ მყოფი ე.წ. „კანონიერი ქურდების“ გავლენის შემცირება

შესრულების ინდიკატორი: შექმნილია არანაკლებ 1 ჯგუფი

შესრულების ვადა: 2020 წლის IV კვარტალი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის მიერ მიმდინარეობს იმ სისხლის სამართლის საქმის იდენტიფიცირება, რომელზეც ჩადენილ დანაშაულთან დაკავშირებით გამოძიების წარმოება მოითხოვს უცხო სახელმწიფოს (სახელმწიფოების) კომპეტენტურ ორგანოებთან კოორდინირებულ

მოქმედებას. საქმის იდენტიფიცირების შემდეგ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო მიმართავს საქართველოს პროკურატურას შესაბამისი წინადადებით, რის შემდეგ საქართველოს კანონის „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ მე-12[1] მუხლის საფუძველზე, საქართველოს პროკურატურა განიხილავს და მიიღებს გადაწყვეტილებას უცხო სახელმწიფოს (სახელმწიფოების) კომპეტენტურ ორგანოებთან ერთად ერთობლივი საგამოძიებო ჯგუფის შექმნის შესაძლებლობის შესახებ.

2019 წელს ჯგუფი არ შექმნილა, ვინაიდან უცხოელი პარტნიორების მიერ ერთობლივი საგამოძიებო ჯგუფის შექმნის საჭიროება არ დაიდენტიფიცირებულა.

სტატუსი: მიმდინარე - ნაწილობრივ განხორციელდა

აქტივობა 1.4.2. ევროპოლის ანალიზის ჯგუფების იდენტიფიცირება და შესაბამის ჯგუფებში გაწევრიანება

პოლიტიკის შედეგი: საერთაშორისო თანამშრომლობის ეფექტურობის გაზრდა

შესრულების ინდიკატორი: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო გაწევრიანებულია შესაბამის ანალიზის ჯგუფებში

შესრულების ვადა: 2020 წლის I კვარტალი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო გაწევრიანდა ევროპოლის ორ ანალიტიკურ პროექტში:

1. საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჯგუფი, ე.წ. ფურტუმი;
2. აღმოსავლეთ ევროპული ორგანიზებული დანაშაულის წინაამდეგ ბრძოლის ანალიტიკური ჯგუფი - EEOC.

სტატუსი: განხორციელდა

მიზანი 2. ნარკოტრანზიტის და ნარკოვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლა

ამოცანა 2.1. საკანონმდებლო ბაზის დახვეწა

აქტივობა 2.1.1. კონტროლირებადი მიწოდების პროცედურების დახვეწის მიზნით საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება

პოლიტიკის შედეგი: კონტროლირებადი მიწოდების სფეროს დარეგულირება

შესრულების ინდიკატორი: საკანონმდებლო პაკეტი ინიცირებულია

შესრულების ვადა: 2019 წლის II კვარტალი

ნარკოტრანზიტისა და ნარკოვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს იურიდიულმა დეპარტამენტმა შეიმუშავა საკანონმდებლო პაკეტი, რომლითაც კონტროლირებადი მიწოდების ცნება დაუახლოვდა „ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ“ გაეროს კონვენციაში არსებულ განმარტებას. ცვლილებების პაკეტის თანახმად სამართალდამცავ ორგანოებს ენიჭებათ უფლებამოსილება, კონტროლირებადი მიწოდების დროს განახორციელონ შესაძლო ნივთიერი მტკიცებულების სრულად ან ნაწილობრივ ჩანაცვლება წინასწარ ნიშანდებული ან/და ყალბი (სიმულაციური) საგნით, დოკუმენტით, ნივთიერებით ან ობიექტით. გარდა ამისა, სამართალდამცავ ორგანოებს შესაძლებლობა ეძლევათ საკონტროლო შესყიდვის დროს განახორციელონ მომსახურების შეძენა ან შეძენის სიტუაციის შექმნა, აგრეთვე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143[1] - 143[2] მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის გამოვლენის მიზნით, ადამიანის ყიდვა ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელება ან განხორციელების სიტუაციის შექმნა. პროექტის მიხედვით, შესაძლებელია ნებისმიერი შესაძლო ნივთიერი მტკიცებულების კონტროლირებადი მიწოდება მიუხედავად იმისა აღნიშნულის თავისუფალი რეალიზება კანონით აკრძალული ან შეზღუდულია თუ არა. ამასთან, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების მიხედვით გამოძიებისას გამოყენებული, წინასწარ ნიშანდებული ან/და ყალბი (სიმულაციური) საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება, ან სხვა ობიექტი დასაშვებ მტკიცებულებას წარმოადგენს.

დასახელებული კანონპროექტის საქართველოს პარლამენტის წინაშე ინიცირება მოხდა გეგმით გათვალისწინებული ვადის დაცვით, ხოლო საქართველოს პარლამენტმა კანონი მიიღო 2019 წლის 19 დეკემბერს.

სტატუსი: **განხორციელდა**

ამოცანა 2.2. ინსტრუმენტების დახვეწა და განვითარება

აქტივობა 2.2.1. კონტეინერების კონტროლის ჯგუფის ნარკოტრანზიტის წინააღმდეგ ბრძოლის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ერთობლივი დანაყოფის ანალიტიკური შესაძლებლობების განვითარება

პოლიტიკის შედეგი: შესაბამისი ანალიტიკური პროგრამები დანერგილია

შესრულების ინდიკატორი: შესაბამისი ანალიტიკური პროგრამები დანერგილია

შესრულების ვადა: 2020 წლის IV კვარტალი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ 2019 წელს დანერგა სპეციალური ანალიტიკური მონაცემთა ბაზა, სადაც თავმოყრილია ინფორმაცია ორგანიზებულ ნარკოდანაშაულში მონაწილე პირთა დანაშაულებრივი საქმიანობის შესახებ. გარდა ამისა, დანაყოფის წევრებს მიენიჭათ დაშვებები შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ფინანსთა სამინისტროს მონაცემთა ბაზებზე.

„კონტეინერების კონტროლის ჯგუფის ნარკოტრანზიტის წინააღმდეგ ბრძოლის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ერთობლივი დანაყოფის ანალიტიკური შესაძლებლობების განვითარება“ - ფარგლებში ჩატარდა შემდეგი ღონისძიებები:

- მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციისა და გაერო-ს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ოფისის ერთობლივი პროექტის, კონტეინერების კონტროლის პროგრამის ფარგლებში, გაერო-ს ორგანიზებით, 2019 წლის 25 სექტემბრიდან - 4 ოქტომბრის ჩათვლით განხორციელდა საჰაერო ტვირთების კონტროლის დანაყოფის თანამშრომლების სასწავლო ვიზიტი ყაზახეთის რესპუბლიკაში.
- მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციისა და გაერო-ს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ოფისის ერთობლივი პროექტის, კონტეინერების კონტროლის პროგრამის ფარგლებში, გაერო-ს ორგანიზებით, 2019 წლის 9-15 ნოემბერს განხორციელდა საჰაერო ტვირთების კონტროლის დანაყოფის თანამშრომლების სასწავლო ვიზიტი არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში ქ. დუბაიში (სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო სტანდარტები და უსაფრთხოება).
- 2019 წლის 11-15 ნოემბერს გაიმართა საქართველოში საფრანგეთის საელჩოსა და EU-ACT-ის მიერ ორგანიზებული ტრენინგი, კონტროლირებადი მიწოდების ოპერატიული რეგიონალური ტრანსსასაზღვრო ვარჯიში.
- მსოფლიო საბაჟო ორგანიზაციისა და გაერო-ს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ოფისის ერთობლივი პროექტის, კონტეინერების კონტროლის პროგრამის ფარგლებში, გაერო-ს ორგანიზებით, 2019 წლის 9-11 დეკემბერს განხორციელდა კონტეინერების კონტროლის პროგრამის სამივე ჯგუფის თანამშრომლების სასწავლო ვიზიტი ქ. ბათუმში (მტკიცებულებათა შეგროვება და დამუშავება).

სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად განხორციელდა

ამოცანა 2.3. საზოგადოებასთან ურთიერთობის განვითარება

აქტივობა 2.3.1. ბიზნეს წრეების ინფორმირება

პოლიტიკის შედეგი: ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის ეფექტურობის გაზრდა

შესრულების ინდიკატორი: წელიწადში არანაკლებ 2 შეხვედრა/ინტერაქცია

შესრულების ვადა: 2020 წლის II კვარტალი

სტატუსი: **არ დაწყებულა**

ამოცანა 2.4. საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება

აქტივობა 2.4.1. მეზობელ პარტნიორ ქვეყნებთან ერთობლივი სამუშაო შეხვედრების გამართვა

პოლიტიკის შედეგი: მეზობელ პარტნიორ ქვეყნებთან საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება

შესრულების ინდიკატორი: ჩატარებული შეხვედრების რაოდენობა

შესრულების ვადა: 2020 წლის IV კვარტალი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტმა 2019 წლის განმავლობაში საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით მეზობელ პარტნიორ ქვეყნებთან გამართა 12 რეგიონული შეხვედრა (მათ შორის სუამის ფარგლებში), სადაც განხილული იქნა ერთობლივი ღონისძიებების ჩატარების შესაძლებლობები, ასევე, გაზიარებულ იქნა გამოცდილება ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლაში.

2020 წელს დაგეგმილია საქართველო - თურქეთის ერთობლივი კომისიის მე-8 სხდომა, რომლის ფარგლებშიც სხვა საკითხებთან ერთად განიხილება: საერთაშორისო ორგანიზებული დანაშაულის, არალეგალური მიგრაციის და ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლა.

სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად განხორციელდა

აქტივობა 2.4.2. გამოცდილების გაზიარების მიზნით შეხვედრების გამართვა პარტნიორი ქვეყნების შესაბამის წარმომადგენლებთან

პოლიტიკის შედეგი: ჩატარებული შეხვედრების რაოდენობა

შესრულების ინდიკატორი: ჩატარებული შეხვედრების რაოდენობა

შესრულების ვადა: 2020 წლის IV კვარტალი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტმა 2019 წლის განმავლობაში ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის ეფექტურობის გაზრდის მიზნით პარტნიორი ქვეყნების სამართალდამცავ უწყებებთან გამართა 22 შეხვედრა, სადაც გაზიარებულ იქნა გამოცდილება ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლაში.

ასევე, დაგეგმილია შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის თანამშრომლების ვიზიტი უნგრეთის სამართალდამცავ ორგანოებთან.

სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად განხორციელდა

მიზანი 3. კიბერდანაშაულის და კიბერ მეთოდებით ჩადენილი დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა

ამოცანა 3.1. საკანონმდებლო ბაზის დახვეწა

აქტივობა 3.1.1. კიბერდანაშაულთან მიმართებაში არსებული საკანონმდებლო ბაზის დახვეწა/არსებულ რეგულაციებში ტერმინოლოგიური ხარვეზების აღმოფხვრა

პოლიტიკის შედეგი: სრულყოფილი საკანონმდებლო რეგულაციები კიბერდანაშაულის და კიბერ მეთოდებით ჩადენილი დანაშაულის სფეროში

შესრულების ინდიკატორი: კანონპროექტი ინიცირებულია

შესრულების ვადა: 2019 წლის IV კვარტალი

სტატუსი: არ დაწყებულა

აქტივობა 3.1.2. კომპიუტერული მონაცემების გამოთხოვასთან დაკავშირებით საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლა

პოლიტიკის შედეგი: სრულყოფილი საკანონმდებლო რეგულაციები კიბერდანაშაულის და კიბერ მეთოდებით ჩადენილი დანაშაულის სფეროში

შესრულების ინდიკატორი: კვლევა ჩატარებულია და შედეგი ცნობილია

შესრულების ვადა: 2020 წლის II კვარტალი

სტატუსი: **არ დაწყებულა**

აქტივობა 3.1.3. კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებით საგამოძიებო მოქმედებების მარეგულირებელი საკანონმდებლო ჩარჩოს დახვეწა

პოლიტიკის შედეგი: სრულყოფილი საკანონმდებლო რეგულაციები კიბერდანაშაულის და კიბერ მეთოდებით ჩადენილი დანაშაულის სფეროში

შესრულების ინდიკატორი: კანონპროექტი ინიცირებულია

შესრულების ვადა: 2020 წლის IV კვარტალი

სტატუსი: **არ დაწყებულა**

აქტივობა 3.1.4. ინტერნეტ სივრცეში ფარული საპოლიციო მოქმედებების მარეგულირებელი კანონმდებლობის შემუშავება

პოლიტიკის შედეგი: სრულყოფილი საკანონმდებლო რეგულაციები კიბერდანაშაულის და კიბერ მეთოდებით ჩადენილი დანაშაულის სფეროში

შესრულების ინდიკატორი: კანონპროექტი ინიცირებულია

შესრულების ვადა: 2020 წლის IV კვარტალი

სტატუსი: **არ დაწყებულა**

ამოცანა 3.2. ინსტრუმენტების დახვეწა და განვითარება

აქტივობა 3.2.1. კიბერდანაშაულის მზარდი ტენდენციების გათვალისწინებით ადამიანური რესურსის გაზრდა

პოლიტიკის შედეგი: კიბერდანაშაულის და კიბერ მეთოდებით ჩადენილი დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის ამაღლება

შესრულების ინდიკატორი: ადამიანური რესურსი გაზრდილია არანაკლებ 5 თანამშრომლით

შესრულების ვადა: 2020 წლის I კვარტალი

2019 წლის 16 აგვისტოს განხორციელდა შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის რეორგანიზაცია, რომლის შედეგად, კიბერდანაშაულის და კიბერ მეთოდებით ჩადენილი დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით, შესაბამისი ქვედანაყოფის საშტატო რიცხოვნება გაიზარდა 5 (ხუთი) ერთეულით.

სტატუსი: **განხორციელდა**

აქტივობა 3.2.2. სპეციალიზებულ კურსებში და სასწავლო პროგრამებში მონაწილეობა

პოლიტიკის შედეგი: ადამიანური რესურსის შესაძლებლობების განვითარება

შესრულების ინდიკატორი: გადამზადდა არანაკლებ 12 თანამშრომელი

შესრულების ვადა: 2020 წლის II კვარტალი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში 157 თანამშრომელი გადამზადდა შემდეგ თემებზე: სემინარი ფულის გათეთრების და ნარკოტიკებთან დაკავშირებული დანაშაულის გამოძიების თემატიკაზე; საერთაშორისო შეხვედრა კონტროლირებადი მიწოდების და ფარული ოპერაციების თემაზე; საერთაშორისო კონფერენცია ნარკოტიკების მომხმარებლებისთვის თავისუფლების აღკვეთის ნაცვლად ალტერნატიულ გზების მოძიებაზე და სისხლის სამართლის სანქციების გაუქმების საკითხებზე; ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულზე ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობისა და პროაქტიული მიდგომების გამოყენების ეფექტურობა; მრგვალი მაგიდა თემაზე - „ტრეფიკინგის ახალი ტენდენციები და ექსპლუატაციის ნაკლებად ცნობილი ფორმები“ ა.შ.

სტატუსი: **მიმდინარე - მეტწილად განხორციელდა**

აქტივობა 3.2.3. სსიპ - საქართველოს შსს აკადემიაში კიბერდანაშაულის და კიბერ მეთოდებით ჩადენილი დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სასწავლო პროგრამების დანერგვა

პოლიტიკის შედეგი: ადამიანური რესურსის შესაძლებლობების განვითარება

შესრულების ინდიკატორი: დანერგილი პროგრამების რაოდენობა

შესრულების ვადა: 2020 წლის II კვარტალი

2019 წლის ოქტომბერში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის აკადემიაში შემუშავდა კიბერდანაშაულის გამოძიების, ციფრული მტკიცებულებების მოპოვება - დამუშავებისა და კიბერუსაფრთხოების სასწავლო კურსი, რომლის ფარგლებშიც გადამზადება გაიარეს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გამომძიებლებმა. გარდა ამისა, აკადემიაში გათვალისწინებულია კიბერდანაშაულთან დაკავშირებული საკითხების სწავლება, როგორც საბაზისო, ისე გადამზადების პროგრამებში.

2019 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით, ზემოხსენებული თემატიკით მომზადდა/გადამზადდა:

- უბნის-ინსპექტორთა სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **32 მსმენელი;**
- კრიმინალური პოლიციის ტერიტორიული ორგანოების მართლწესრიგის ოფიცერთა მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **61 მსმენელი;**
- პოლიციელთა საბაზისო მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - **256 მსმენელი;**
- ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტსა და ტერიტორიულ ორგანოებში თანამდებობრივი დაწინაურების სასწავლო პროგრამა - **97 მსმენელი;**
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა თანამდებობრივი დაწინაურების საგანმანათლებლო პროგრამა - **95 მსმენელი;**
- კიბერდანაშაულის გამოძიების, ციფრული მტკიცებულებების მოპოვება-დამუშავებისა და კიბერუსაფრთხოების ტრენინგი - **10 მსმენელი.**

2019 წლის 4-8 თებერვალს ბუდაპეშტის სამართალდამცავთა საერთაშორისო აკადემიისა (ILEA) და აშშ-ს საელჩოს ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობის საერთაშორისო ბიუროს (INL) მიწვევით ამერიკელ ექსპერტებთან ერთად, აკადემიის ელექტრონული სწავლების განყოფილების მთავარი ინსტრუქტორის თანა-ტრენერობით, ჩატარდა ტრენინგი კომპიუტერში და ქსელში უკანონო შეღწევის თემაზე.

2019 წლის 22-26 ივლისს აშშ-ის საელჩოს ფედერალური საგამოძიებო ბიუროს (FBI) ორგანიზებით ჩატარდა ტრენინგი კიბერუსაფრთხოების თემაზე, სადაც კვალიფიკაცია აიმაღლა 3 სახელმწიფო უწყების 16-მა წარმომადგენელმა.

2019 წლის 7-11 ოქტომბერს და 14-15 ოქტომბერს ეუთო-ს ორგანიზებით ჩატარდა ტრენინგები ციფრული ექსპერტიზის საკითხებზე, როგორიცაა: მობილური ტელეფონებიდან და სამეთვალყურეო ვიდეო-კამერებიდან ინფორმაციის ამოღება და დამუშავება. კვალიფიკაცია აიმაღლა აკადემიის ორმა წარმომადგენელმა.

სტატუსი: **განხორციელდა**

აქტივობა 3.2.4. ინფორმაციული საკომუნიკაციო ტექნოლოგიების საგნის კონცეფციის შემუშავება/ციფრული წიგნიერების კომპონენტის განვითარება

პოლიტიკის შედეგი: ცნობიერების ამაღლება

შესრულების ინდიკატორი: კონცეფცია შემუშავებულია და ასახულია ეროვნულ სასწავლო გეგმაში

შესრულების ვადა: 2020 წლის IV კვარტალი

სტატუსი: **არ დაწყებულა**

ამოცანა 3.3. საზოგადოებასთან ურთიერთობის განვითარება

აქტივობა 3.3.1. სსიპ - საქართველოს შსს აკადემიის რესურსების გამოყენებით მიზნობრივ აუდიტორიასთან (მოსწავლეები/სტუდენტები) საინფორმაციო ხასიათის შეხვედრები

პოლიტიკის შედეგი: ცნობიერების ამაღლება

შესრულების ინდიკატორი: კიბერდანაშაულის და კიბერ მეთოდების გამოყენებით ჩადენილი დანაშაულის შესახებ ჩატარებული გაკვეთილები

შესრულების ვადა: 2020 წლის IV კვარტალი

სტატუსი: **არ დაწყებულა**

აქტივობა 3.3.2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ჩართვა კიბერბულინგის პრევენციულ კამპანიებში

პოლიტიკის შედეგი: ცნობიერების ამაღლება

შესრულების ინდიკატორი: ჩართული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობა

შესრულების ვადა: 2020 წლის IV კვარტალი

UNICEF-ის მხარდაჭერილი პროექტის ფარგლებში, შემუშავდა ტრენინგ-მოდული „ტექნოლოგიური ადიქცია და კიბერ ძალადობა". აღნიშნული მოდულით გადამზადდა სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქო-სოციალური მომსახურების ცენტრის 12 ფსიქოლოგი და 7 სოციალური მუშაკი, ასევე, საპილოტე სკოლების (ქ. თბილისის N4 საჯარო სკოლა; N48 საჯარო სკოლა; N138 საჯარო სკოლა; N162 საჯარო სკოლები) 12 მასწავლებელი. საპილოტე პროექტი ემსახურება მასწავლებლების ისეთი უნარებისა და შესაძლებლობებით აღჭურვას, რომლითაც შეძლებენ მიღებული ცოდნის გამოყენებასა და ეფექტიან გადაცემას, როგორც კლასის მოსწავლეებისთვის, ისე მშობლებისთვის. ტექნოლოგიური ადიქციისა და კიბერ ძალადობის კომპონენტი ინტეგრირდა ტრენინგ-მოდულში „დესტუქციული და ძალადობრივი ქცევის ამოცნობა და პრევენცია".

სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად განხორციელდა

აქტივობა 3.3.3. თანამედროვე რისკების შესახებ ცნობიერების ამაღლების კამპანიების ჩატარება (მათ შორის ნარკოტიკების ინტერნეტ სივრცეში ვაჭრობის შესახებ)

პოლიტიკის შედეგი: ცნობიერების ამაღლება

შესრულების ინდიკატორი: პრეზენტაციების, დამზადებული და განთავსებული სატელევიზიო რგოლების რაოდენობა

შესრულების ვადა: 2020 წლის IV კვარტალი

სტატუსი: არ დაწყებულა

აქტივობა 3.3.4. თემატური მოკლემეტრაჟიანი ფილმების შექმნა

პოლიტიკის შედეგი: ცნობიერების ამაღლება

შესრულების ინდიკატორი: შექმნილი ფილმების რაოდენობა

შესრულების ვადა: 2020 წლის IV კვარტალი

სტატუსი: **არ დაწყებულა**

ამოცანა 3.4. საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება

აქტივობა 3.4.1. კიბერდანაშაულთან ბრძოლის სფეროში საუკეთესო გამოცდილების გაზიარების მიზნით შეხვედრების გამართვა

პოლიტიკის შედეგი: კიბერდანაშაულის და კიბერ მეთოდებით ჩადენილი დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის ამაღლება

შესრულების ინდიკატორი: ჩატარდა არანაკლებ 5 შეხვედრა

შესრულების ვადა: 2020 წლის IV კვარტალი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტმა კიბერდანაშაულის და კიბერ მეთოდებით ჩადენილი დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურობის ამაღლების მიზნით გამართა 8 შეხვედრა პარტნიორი ქვეყნების სამართალდამცავი სტრუქტურების წარმომადგენლებთან. შეხვედრებზე გაზიარებულ იქნა კიბერდანაშაულთან ბრძოლის საუკეთესო პრაქტიკა, ასევე, განხილულ იქნა აღნიშნულ სფეროში არსებული უახლესი გამოწვევები და მათთან ბრძოლის მეთოდები.

ასევე, შეხვედრები გაიმართა "Cybereast"-ისა და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის" პროექტის ფარგლებში.

სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად განხორციელდა

აქტივობა 3.4.2. ინტერნეტ სივრცის გამოყენებით ნარკოტიკული საშუალებების გავრცელებასთან ბრძოლის გამოცდილების გაზიარება

პოლიტიკის შედეგი: კიბერდანაშაულის და კიბერ მეთოდებით ჩადენილი დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის ამაღლება

შესრულების ინდიკატორი: Deep Web-ში მუშაობის კუთხით გამოცდილების გაზიარების მიზნით ჩატარებული შეხვედრები

შესრულების ვადა: 2020 წლის IV კვარტალი

2019 წელს „Deep Web"-ში მუშაობის კუთხით გამოცდილების გაზიარების მიზნით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტმა გამართა 4 შეხვედრა, როგორც ადგილობრივ, ასევე პარტნიორი ქვეყნების სამართალდამცავ უწყებებთან.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტმა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის "EU Act" -ის ფარგლებში გამართა რეგიონალური სამუშაო შეხვედრა ე.წ. "Dark Net" -ის თემაზე.

სტატუსი: მიმდინარე - მეტწილად განხორციელდა.

სტატუსების განმარტება საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის №629-ე დადგენილების შესაბამისად:

სტატუსი	(ფერი)
არ დაწყებულა	
ნაწილობრივ შესრულდა	
მეტწილად შესრულდა	
განხორციელდა	
განხორციელდა დაგვიანებით	
გაუქმებულია	
შეჩერებულია	